**გორის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს**

**განკარგულება № 177**

**2023 წლის 13 ოქტომბერი**

**ქ. გორი**

**გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გურამ ქიტუაშვილს შორის 2020 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებული №19 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გურამ ქიტუაშვილს შორის 2020 წლის 06 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №19 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ V კვარტალი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 98.00 კვ.მ; ს/კ 66.45.31.396 (ახალი კოდი 66.45.31.507) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო გურამ ქიტუაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გურამ ქიტუაშვილი ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის გათვალისწინებითაც, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №184 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გურამ ქიტუაშვილს შორის 2020 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებულ პირობით გამოცხადებული აუქციონის №19 ხელშეკრულებაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ V კვარტალი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 98.00 კვ.მ; ს/კ 66.45.31.396 (ახალი კოდი 66.45.31.507) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განისაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გურამ ქიტუაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის

შესრულებაში. განცხადების თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული პროექტის მიხედვით, აშენებულია ორსართულიანი შენობა და განსახორციელებელია მხოლოდ შელესვის, აგურით მოპირკეთების, მოაჯირებისა და ტერასაზე ასასვლელი კიბის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, გურამ ქიტუაშვილი აცხადებს, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე მის მიერ განხორციელდება 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 6 (ექვსი) თვით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გურამ ქიტუაშვილს შორის 2020 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის №19 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ V კვარტალი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 98.00 კვ.მ; ს/კ 66.45.31.396. (ახალი კოდი 66.45.31.507) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გურამ ქიტუაშვილს შორის 2020 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N19 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ V კვარტალი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 98.00 კვ.მ; ს/კ 66.45.31.396. (ახალი კოდი 66.45.31.507) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**